ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტორულ სამსახურს

შპს „უტა“ 203835957
მმართველი პარტნიორი/პროკურისტი
ბაკურ კიღურაძე
მის. რ.თაბუკაშვილის 27
ტ.599442222

თქვენი N 5830705 გადაწყვეტილების პასუხად
ჩვენს 29.02.2022 წ. AR1883948 განცხადებაზე პასუხად

გავეცანით თქვენს შუალედურ გადაწყვეტილებას შენიშვნებით რომელნიც ჩვენს მიერ იქნა აღმოფხვრილი, კერძოდ:

1. **პროექტი უნდა იქნას ხელმოწერილი სემსრულებლის მიერ** - ხელმოწერილია

2. **წარმოდგენილი იქნას განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერით** - ჩვენს მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში ჩასატარებელი სამუშაოები უკვე იყო აღწერილი, თუმც კიდევ უფრო გავავრცეთ და იხ. დანართის სახით

3. **წარმოდგენილ იქნას კარგად აღთქმადი ნახაზები, როგორც არსებული ასევე საპროექტო და მასზე გაკეთებული იქნას შესაბამისი შენიშვნები** - შესრულებულია იხ. დანართი

4. **გრაფიკში მოცემული სამუშაოები საჭიროა ასახულ იქნას ნახაზებში,** - ასახულია იხ. დანართი

5. **ფოტო სურათების მიხედვით ხდება მხატვრობის აღდგენის სამუშაოები, წარმოდგენილი იქნას განმარტებააღნიშნულთან დაკავშირებით. თუ მხატვრობის აღდგენაც ხდება, საწიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია, შესრულებული კულტურული მემკვიდრეობის სესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად. -** ჩვენს მიერ წარმოდგენილია ორი კვლევა აღნიშნული შენობის ისტორიული და მხატვრული ღირებულებების შესახებ შესრულებული საქ. კულტურის სამინისტროს მუშაკთა მიერ მათ შორის სტრატიგრაფიული ფენების კვლევა, რომელთა შესაბამისად ქ.თბილისში რეზო თაბუკაშვილის 27 მდებარე 2 სართულიანი აგურის შენობა აგებულ იქნა 1846 წელს მეფის რუსეთის სამხედრო მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმების დანიშნულებით, შესაბამისად მის ინტერიერებში არასოდეს ყოფილა რაიმე მხატვრული გაფორმება, რაც დადასტურებულია კიდეც სტრატიგრაფიული ფენების კვლევით და დადგენილი რომ ინტერიერები მხოლოდ ერთ ფეროვანი

საღებავებით იყო გაფორმებული. შესაბამისად და რამდენადაც ჩვენს მიერ წარმოებული და დაგეგმილი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ვერაფერს აზიანებენ.

რაც შეეხება არსებულ მოხატულობასა და ორნამენტებს ისინი სრულდება ამჟამად ჩვენი პროექტით ჩვენივე მხატვარ - ოსტატების მიერ.

6. **კალენდარულ გრაფიკში ამოღებულ იქნას კონკრეტული თარიღები** - შესრულებულია იხ. დანართის სახით.

7. **ფოტო სურათები იქნას დათარიღებული** - წარმოდგენილია დანართების სახით

8. **წარმოდგენილი იქნას ფოტო მონტაჟები ან რენდერები ჩასატარებელი სამუშაოების ასახვით** - წარმოდგენილია უკვე შესრულებული სამუშაოების ფოტოები ანუ ფაქტობრივი მასალა და არა გეგმიური

9. **დამკვეთის ველში დაფიქსირდეს შპს „უტა“-ს დირექტორი და მისი პირადი ნომერი, ამასთან გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) რომელიც გაცემულია ბაკურ კიღურაძეზე არ ითვალისწინებს წარმომადგენლობით უფლება მოსილებას არქიტექტურის სამსახურში მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე წარმოსადგენია შპს „უტა“-ს დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.** - წარმოგიდგენთ 2016 წლის 16 ნოემბერს დარეგისტრირებულ შპს „უტა“-ს პარტნიორთა კრების ოქმს რომლის შესაბამისად გაცემულია გენ. პროკურა ბაკურ კიღურაძეზე რომლის შესაბამისად **„პროკურა იძლევა უფლება მოსილებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა საქმიანობა და სამართებლივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.“** - შესაბამისად როგორც მმართველი პარტნიორს გენ. პროკურით მაქვს უფლება მოსილება და ამას შეუფერხებლად ვახორციელებ დღემდე მათ შორის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში წარმოვადგინო შპს „უტა“ ყველა ურთიერთობებში მათ შორის მუნიციპალიტეტში.

10. **საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრში ვალდებულების საფუძვლად რეგისტრირებული 30/01/2015 წ. N 150088185 ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა** - შესრულებულია და დანართის სახით წარმოგიდგენთ 30/01/2015 წ. N 150088185 ხელშეკრულება

პატივისცემით
ბაკურ კიღურაძე B.Kiguradze